

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

სკლის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoзба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაბეჭდი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

# დროება

ბამონის ყოველ-ღვინო მრეწველთა ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ. პირველზე 16 კ. სრულზე წყვეტილზე—ტვირ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. სტრიქონზე—  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
კლებს განმარტებას, გამოკვეთილ წერილებს. დაუბეჭდავ წერ-  
ილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს იტყობს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метдль. Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დამთავრებამდე 4 მანათი. სოფლის მახსოვლო- ბელთათვის 3 მანათი.

### კარგი ნიშნები

თბილისი, სექტემბრის 6-ს.

ძვეყნის ცხოვრება იმავე განვითარე-  
ბისა და წარმატების კანონებს ემორ-  
ჩილება, რომელნიც მსუფთვედ მთელს  
ბუნებაში საზოგადოდ და ორგანო-  
ვანს ბუნებაში კერძოდ. შოველივე  
ორგანოვანი არსება იზრდება, იცვება,  
წარმატებაში შედის, უმაღლესს ხა-  
რისხს მიღწევს სისრულისას, შემდეგ  
უძლიერდება და სრულიად ისპობა.  
ასევე საზოგადოებრივი ცხოვრებაც.  
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცხოვ-  
რება ქვეყნისა განვითარების უკანასკ-  
ნელის სტადიის გავლის დროს, შეიძ-  
ლება დასუსტდეს, უძლიერებას მიე-  
ცეს, მიბინარდეს, თითქმის ჩაქრეს,  
მაგრამ შემდეგ, გაივლის დრო, ყამი,  
და დაუძლიერებელი ცხოვრება კვლავ  
წარმატებაში შევიდეს, კვლავ გადახა-  
ლისდეს და იწყოს წინ-სვლა. ამის  
მაგალითებს მრავლად მოიგონებს  
თვით მკითხველი კაცობრიობის ისტო-  
რიიდან.

ამას გარდა სხვა ნაირი ერთ-გვა-  
რობა შეინიშნება კიდევ თითოეულის  
ორგანოვანის არსებისა და კაცთა ნა-  
თესავის ცხოვრების ზრდის შორის.  
როგორც თითოეული არსება ათას-  
გვარ სხეულებას სჩვევია, ისე საზო-  
გადოებრივი ცხოვრებაც ხშირად ვარ-  
დება ავადმყოფობაში. ეს ავადმო-  
ფობა, სხეული მდგომარეობა ქვეყნის  
ცხოვრებისა ბევრჯერ დიდხანს გას-  
ტანს ხოლმე და საზოგადოებრივს ორ-  
განიზმს ისევე სტანჯავს, ისევე აწუ-  
ხებს, როგორც თვითეულს ორგანო-  
ვანს არსებას.

ამ გვარს მდგომარეობას ქვეყანა  
გამოსცდის ხოლმე ყოველთვის მაშინ,  
როცა იგი სხვა-და-სხვა ისტორიულ  
გარემოებათა გამო იძულებულია შე-  
სცვალოს, ცოტად თუ ბევრად, გზა  
თავის ისტორიულის ცხოვრებისა.  
ბევრს ერს ამ დროს ისე გასჭირვე-  
ბია, ავადმყოფობას ისეთი სასტიკი  
სახე მიუღია, კრიზისი ისეთი ძნელად  
ასატანი ყოფილა, რომ ვეღარ გადარ-  
ჩენილა სიკვდილსა. საჭიროა ამ დროს,  
რომ ერს მაგარი სხეული ჰქონდეს,  
საჭიროა, რომ ის საფუძველნი, რომ-  
მელზედაც დამყარებული ყოფილა  
ქვეყნის არსებობა, მტკიცენი იყვნენ:

ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება, ეკო-  
ნომიური წესნი, სამიწაწილო და წო-  
ლებრივი ურთიერთობანი არას არ  
შეიცავდენ ამ დროს მეტად საწინა-  
აღმდეგოს წარმატების და პროგრესის  
იდეისას; საჭიროა რომ ამ შემთხვე-  
ვაში არც ერთს აქ მოხსენებულს სა-  
ფუძველს ცხოვრებისას არა-მომაკედი-  
ნებელი რამ სენი არ გასჯდამოდეს  
ღრმად. ამ შემთხვევაში საზოგადო-  
ცხოვრება ადვილად მოინელებს გა-  
ჭირვებულს მდგომარეობას, ადვილად  
გაღურჩება ავადმყოფობას და სუბტ-  
ქად გადაივლებს თავს ამ გვარად მოვ-  
ლენილს უბედურებას. სწორედ ისევე,  
როგორც კარგად ავებული და ჯან-  
მთელი კაცი, რაც უნდა ძლიერმა  
ავადმყოფობამ შეიპყრას, უფრო ადვი-  
ლად გადარჩება სიკვდილს, სამუდა-  
მო სნეულდება, ვიდრე სუსტად ავე-  
ბული, ნაკლები ჯანის პატრონი.

შოველივე შემოხსენებული მსჯე-  
ლობანი საჭიროა წინ გავიმძღვაროთ,  
ვიდრე დავიწყობდეთ ლაპარაკს იმ  
ახალს ვითარებაზე, რომელმაც შეიპყ-  
რო თითქმის სრულიად კაცობრიობა  
ამ ყამად და რომლის დასაწყისი უნ-  
და მოიძებნოს ამ ასის წლის წინად,  
როცა სხვა-და-სხვა მაშინები და წარ-  
მოების გასაძლიერებელი საღსარნი  
და საშუალება მრავლად იქმნენ მო-  
გონილი და დაჰბადეს ესრედ-წოდე-  
ბული კაპიტალისტური წარმოება,  
ფულეებრივი მეურნეობა.

ამ ყამად ფულმა, კაპიტალმა და-  
იპყრო ყოველი სფერა ცხოვრებისა.  
მხოლოდ ფული და კაპიტალი შე-  
იქმნა ძლიერ ფაქტორად ცხოვრების  
ყოველ-მხრივი გაუმჯობესობისა და  
წარმატებისათვის. ეს წესები რუსეთ-  
შიაც შემოვიდა და დღეს მის გაძლიე-  
რებას ვეღარაფერი ვერ შეაყენებს, რაც  
გინდა დამცველნი ტარიფები იგონონ  
და საღარაჯო ბაჟი აწესონ, რა გვა-  
რი გაჭირება გამოიარა რუსეთმა, რო-  
ცა იძულებული იყო ეს ახალი წესე-  
ბი შეეთვისებინა, ამაზე ჩვენ სიტყვას  
არ გავაგრცვლებთ. მიტყვით მხოლოდ,  
რომ ძველის წესების შეცვლამ, მამ-  
პაპურის ცხოვრების საძირკვლის შე-  
ყვეამ, მთლად რუსეთის ცხოვრებაც  
შეარყია, სხეულებაში ჩააგდო და  
მხოლოდ დღეს, მთავრობის ღონითა  
და ცდილობით, ეძლევა მცირედენი  
ძალა აქამდე დასუსტებულს წო-  
ლებას.

იგივე ვითარება, რომელიც გამეფ  
და რუსეთში, ჩვენშიც ნელ-ნელა შე-  
მოვიდა და ამ ყამად სრული ბატონი  
შეიქნა ჩვენს ცხოვრებაში. ახალს  
წარმოების წესები, ფულეებრივი მეურ-  
ნეობა ნელ-ნელა ფებს იკიდეს ამიერ-  
კავკასიაშიც და უფრო მეტს გაჭი-  
რებაში გვაგდებს. ვიდრე ოდესმე რუ-  
სეთის ცხოვრება იყო. ამ ახალმა ვი-  
თარებამ მალე მოულო ბოლო ჩვენის  
ძველის ცხოვრების წესებს. ეს წესები  
სრულიად აღარ შეეფერებოდა იმ ახალს  
ვითარებას, და თუ მალე არ შევითვი-  
სეთ, ეს ახალი ვითარება ჩვენი ეკო-  
ნომიური კეთილ-დღეობა, ჩვენი უზ-  
რუნველობა ნიეთიერი და ამის გამო  
გონებრივცა და ზნეობრივც საეჭვო  
საგნად შეიქმნება, საშიშროებაში ჩა-  
ვარდება. მე ვამბობ ფულეებრივის მე-  
ურნეობის წესების შეთვისებაზე, კა-  
პიტალისტურს წარმოების კანონების  
შეგნებაზე და ამ შეგნების შესაფერად  
მოქმედებაზე.

თუ ჩვენმა ერმა არ შეიგნოს ის სა-  
განი, რომ ამ ახალს ვითარებას აყო-  
ლა უნდა, შეთვისება უნდა, თუ ჩვენ-  
მა ერმა არ მიმართა ახალს წყაროებს  
წარმოებისას და ქვეყნის სიმდიდრი-  
სას, იგი უკან ჩამორჩება საერთო  
მოძრაობას, საერთო წინ-მსვლელობას.  
შოველად საჭიროა, რომ, რაც შეიძ-  
ლება ჩქარა მოვიშოროთ ყველა ის  
ძველი სამკვიდრო, რომელიც კურთ-  
ხეულ ძველ დროდგან დაგვრჩენია და  
გვაბრკოლებს ახალს ეკონომიურს  
წესების შეთვისების საქმეში, რომე-  
ლიც სიზარმაცის, უზრუნველობის  
და აპათიის სახით გადაგვლობებია  
წინ, უსაფუძვლო თავ-მოყვარებას  
გვირყევს, წოდებრივს ინსტინქტებს  
გვიღვიძებს, ნაციონალურს ტრუ-მორწ-  
მუნობებს გვიცხოველებს და ყველა  
ამ მიზეზით ზურგს აქცევთ ახალს  
მოძრაობას, ახალს ვითარებას.

მხლა დრო აღარ არის წუხილისა,  
რხვრისა იმაზე, რომ წინად შეიძლე-  
ბოდა სულ უბრალოდ, შინაურულად  
ყველაფერში იოლად წაესულიყავით,  
სხვისათვის პასუხის ვაცემა მოგვე-  
ხერხებინა და მოკეთე მოკეთურად გა-  
გვეტანა. ღღეს დრო სხვა გვარს მხნე-  
ობას ითხოვს ჩვენგან, დღეს დრო და  
ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ  
გაფაციცებით უნდა ვადგენდებთ თვალ-  
ყურს ყოველის ახალს წყაროს აღ-  
მოჩენას ქვეყნის წარმოების გასაძლიე-  
რებლად, სიმდიდრის გასამრავლებ-  
ლად. შოველად საჭიროა უარ-ყოთ  
ის აზიური ჩამომავლობის ანდაზა,  
რომელიც ამბობს: «რაც არ ექნას  
მამა შენსა, ნურც შენ დაჰხვე მარმა-  
შებსაო» და ენერგიულად შეუდგეთ,  
ხენასა და თესვის გარდა, ტრადიციუ-

ლის მევენახობის გარდა, სხვა გვარ  
წარმოების საქმეებსაც, სხვა გვარ  
სიმდიდრის წყაროების ექსპლოატა-  
ციასაც: ქვა-გუნდა იქნება ეს წყარო,  
თუ ნავთი, ზღაუბერის მარილი, თუ  
სპილენძის მადანი, აბრაშუმის წარ-  
მოება, თუ ქვა-ნახშირი, ხურმა, თუ  
ღარიშხანა. შოველივე ეს წყარონი  
ახალს სიმდიდრისა მრავლად მოიპო-  
ვება ჩვენში და საჭიროა მხოლოდ  
მხნეობა, გონების გაპყრიახობა, უარ-  
ყოფა სიზარმაცისა და უზრუნველო-  
ბისა.

ამ მხრივ ბევრად უკეთესი ნიშნები  
შეინიშნება ჩვენის ქვეყნის დასავლეთ  
ნაწილში ვიდრე აღმოსავლეთისაში.  
დასავლეთ ნაწილის ხალხი უფრო  
მარჯვეა, უფრო ადვილად მიმღებია  
ახალს წესებისა, უფრო დაუღალავია  
და მოწალმართე. სურვილი სხვა და-  
სხვა საქმის დაწყებისა, რომელიც  
დროებას შეეფერება და რაიმე სარ-  
გებლობას უქადის კაცს, უფრო გაძ-  
ლიერებულია დასავლეთით ვიდრე  
აქეთ და ეს გარემოება ძლიერ  
სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის; იმი-  
ტომ რომ ამ გვარის მიმართულების  
წყალობით უფრო ადვილად გაივლის  
ის დროებით მოვლინებული მდგო-  
მარეობა, რომელშიაც ჩვენ ჩავეყი-  
დით ახალს ეკონომიურს წესების  
წყალობით.

დასავლეთ ნაწილში ამ უკანასკნელს  
დროს, სულ ათისა და ოცის წლის გან-  
მავლობაში ძლიერ გავრცელდა სხვა-  
და სხვა გვარი წარმოება და აღებ მიცე-  
მობა. მუდამ წელს აქედამ რამდენიმე  
მილიონი ფუთი სიმინდი გადის სამზ-  
ღვარ გარედ, მუდამ წელს აუარებე-  
ლი შავი-ქვა ამოდის დედა-მიწის გუ-  
ლიდამ და იგზავნება შავის ზღვის აღ-  
მოსავლეთის ნავთ-სადგურებში. უმ-  
თავრესი ქალაქი და დაბები იქ საე-  
სხვა ჩვენივე სისხლისა და ხორცის მო-  
ვაჭრეებით; მუდამ მოგედის ცნობა  
ახალს საზაზრო ადგილის დაარსება-  
ზე, ახალს იარმუკობის დაწესებაზე,  
რომელნიც გრძელდებიან თითო და  
ორთა კვირაობით.

ჩვენის გზეთის «დროების» 189  
№-ში ჩვენ დავბეჭდეთ კორესპონდენ-  
ცია ზემო-იმერეთიდან, რომელიც მშვე-  
ნიერ ილიუსტრაციას წარმოადგენს ჩვე-  
ნის სიტყვებისას. ღილ, დღეს ქვეყანა  
კვლავ იღვიძებს ძილიდამ, ჰხედავს  
გარშემო მოძრაობას და თვითონაც  
ერევა ამ მოძრაობაში. მინ გაიგონებ-  
და უწინ, რომ ხარისხოვანს კაცს რაი-  
მე წარმოება დაეწყო, სიმდიდრის წყა-  
რო გამოეძებნა და მის შემუშავებას  
გამოსდგომოდა, არა მარტო თავის  
პირადის საჭიროებისათვის, არამედ  
სამზღვარ-გარეთის საჭიროების დასაკ-

მაყოფილებლად; მაგრამ ახლა კი ამ გვარი მაგალითები ხშირია და, ღმერთმა ჰქმნას, რომ უფრო განვირ- დეს გონიერობით, კუთით და მოხერ- ხებით მშრომელთა და მწარმოებელთა დასი. იმ ერს, რომელსაც მდიდარი მწარმოებელი ჰყავს, რომელსაც ბევ- რი წყარო აქვს სიმდიდრისა და თვითვე აწარმოებს ამ წყაროს... თვით ის მდი- დარი ერს ეკუთვნის და იმათი სიმ- დიდრეც ეროვნულს სიმდიდრეს შეა- დგენს.

### შინაური ქრონიკა

მეცნიერების 2 გამოვიდა მეო- რე ნომერი ახლის სურათებიანის «მეტრისა». ამას იქით გაზეთი მუ- დამ კვირა გამოვა. შრიად სასიამოვნოა ჩვენში სურათებიანის გაზეთის დაბა- დება და ვისურვებთ, რომ წარმატე- ბით ემუშაოს ამ ახალს ჩვენს თანა- მოძმეს ჩვენის ქვეყნის სულიერისა და ესტეტიურის განვითარებისათვის. მეორე ნომერი შეიცავს უხერხულის ქართულის ერთ დაწერილს სტატი- ას: «ჩვენ ლიტერატურაზე». სასურ- ეელია, რომ რედაქცია მეტს ყურად- ლებას მიაქცევდეს ენას იმ წერილე- ბისას, რომელნიც დასაბუქდავად არი- ან დანიშნულნი. შინაარსის მხრით ამ წერილის შესახებ ჯერ არა ით- ქმისრა, რადგან მხოლოდ ორი თა- ვია დაბეჭდილი. ლაუცადოთ გათავე- ბას. მეორედ დაბეჭდილია ლექსი, «მოწყვეტილი ფოთოლი» სახელისა. ეს ლექსი ღიღის სიამოვნებით იკით- ხება და გრძობით არის დაწერილი, ცოტა შედარება მოწყვეტილის ფო- თოლისა და კაცის ბედის შორის ერ- თობ ვალახულო რომ არ იყოს ლექს- თაზველთაგან. მაინცა და მაინც ამ ლექსის კილო სწორედ პოეტური, საკმაოდ ამაღლებული კილოა

არ არის ინტერეს მოკლებული, ენის მხრით, რომ ესეც არ კოკლობ- დეს, შემდეგი წერილი: «მეტრი და მსახიობნი» რომლის შუა ჩართუ- ლია სურათი «ძველსიის ქედზედ მიჯა- ქვეულის პრომეთეოსისა». პრომეთეოსს არწივი გულს უწიწვის, ვითომ ორის ქალის მოტაცებისათვის. სწორედ მო- გახსნოთ, ჩვენ არ ვიცით, ამ მითის რომელის რედაქციით ხელმძღვანელობ- და რედაქცია პატივცემულის გაზეთის- სა, როცა ამას სწერდა; ჩვენ-კი ის- ტორიადამ ასე გვახსოვს, რომ პრო- მეთეოსი დასჯილ იქნა ბერძენთ ღმერ- თებისაგან ამ საშინელის სასჯელით ცილამ ცეცხლის მოტაცებისათვის და კაცთა-ნათესავისათვის გარდაცემის გა- მო. ამ მითს ღიღი საკაცობრივო ინ- ტერესი აქვს, რადგან გამოჰხატავს კაცობრიობის იმ მდგომარეობას, რო- დესაც იგი ნაკლებად იყო განვითარ- გებული და ღიღი შრომად დაუჯდა ცეცხლის ხმარების საიდუმლოების გაცნობა.

«ლეგენდა» ბ-ნის პლისუბნელისა ჯერ გათავებული არ არის. ლექსი

ყველგან კარგ ლექსად ვერ ჩათ- ვლება. მნახოთ, როგორ გათავდება. ჯერ მხოლოდ ოთხი თვითა დაბეჭ- დილი და, როგორც ვეცოდა, აფ- ხანთ ცხოვრებიდამ არის ამ ლეგენ- დის შინაარსი აღებული. ბოლოს დაბეჭდილია «ნაწყვეტ-ნაწყვეტი», როგორც თვით ავტორი ამბობს, უთავ-ბოლო ლაპარაკი ჩვენის ცხოვ- რების სხვა-და-სხვა მოვლენაზედ სრუ- ლიად ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს, რომ იმისი ნაწყვეტ-ნაწყვე- ტი მართლა და უთავ-ბოლო ლაპარაკია. შიგა-და-შიგ ჩართულს ლექ- სებს-კი ლაზათი და მარლიანობა არ აკლია. ქრონიკა კარგის ერთ და რიგინად არის შედგენილი.

მთილისში გამოვიდა პატარა ბროშურა: «ლექსი პირაგუჩისა», თქმუ- ლი ბომელისა.

მეცნიერების 2-დამ მთილისის საგუბერნიო მმართველობაში დაიწ- ყო ვაქრობა პრიკაზში დაგირავებულ ქალაქის უძრავ მამულებისა. მამული რიცხვით 150-ია.

მართს სომხურს გაზეთში სწე- რენ, რომ ლონდონში დაუსრულე- ბიათ სომხური ეკლესიის შენობა. მო- ველ გვარ სამკაულს ამ ეკლესიისათვის შეჰპირებიან ვილაც ძმ. მსაიანცები.

ჩვენ შევიტყუეთ ნამდვილი წყა- რობადამ, რომ რკინის გზის ექიმი მართანოვი გამოუცვლიათ და მის ადგილზე ექიმი ბაბოვი დაუნიშნა. ამის მიზეზი ის იყო, რომ როგორც ადგილობრივ გაზეთებში, ისე რკინის გზაზე მოსამსახურებში მართანოვზედ ბევრი უკმაყოფილება ისმოდა. ამი- სათვის ასეთი ცვლილება რკინის გზა- ზე მოსამსახურე პირთ ღიღის თანა- გრძობით მიუღიათ.

ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნე- ბა ყოველის ფრით ხელს უწყობს ფუტკრის მოშენებას და ღიღი სარგე- ბლობასაც მოუტანდა ყველას, ვინც- კი რიგინად და საქმის ცოდნით წაი- ყვანდა საქმეს, პროფესორს ა. მ. ბუტლეროვს, რომელსაც სოხუმის ახლო აქვს საფუტკრე, გამოუცია მშენებელი სახელმძღვანელო ამ სათა- ურით: «როგორ მოვაშენოთ ფუტ- კარი», რომელშიაც მარტივად არიან ახსნილი ყოველ-გვარი საქირო ცნო- ბანი ფუტკრის მოშენების შესახებ. თავისუფალ ეკონომისტს საზოგა- დოებას თავის ხარჯით გამოუცია ეს მშენებელი წიგნი და ფასიც ორი შაუ- რი დაუნიშნავს, რომ უფრო მალე გაერცელდეს. ძალაქში ეს წიგნი ძაე- ასიის სამეურნეო საზოგადოებაში იყიდება და ვურჩევთ ყველა ჩვენს მემამულეთ ეს წიგნი შეიძინონ. ამ წიგნს ქართულადაც მალე გადაე- თარგმნით.

ამ დღებში მ. ძლოვსე ჩვენს ქალაქში აპირობს კრძო სამუ- სიკო სკოლის გახსნას.

ამ თვის პირველს, კვირა დღეს, ალექსანდროვის ბაღში ჩამოიარა ერ- თმა პირმა, რომელსაც პირში პაპი- როსი ელა, ხელში ჯოხი ეჭირა და საქირო ადგილზედ ტურნიური ელა. ამის დანახვად კაცები სიცილით იხოცებოდნენ და ქალები კი ქვეშ ქვე- შად იცქირებოდნენ და სიცილს ძლივს იმაგრებდნენ.

მაზნოს «ძველსა» სწერენ ჯა- ლალ ოღლიდამ, რომ ლორის სა- პრისტაოში გამოჩნდნენ რამდენიმე პი- რნი, რომელთაც ძაირიმობა დაიკვეს და ხალხს გზაში უხედებოდნენ. მაგ- რამ ადგილობრივმა პოლიციამ იგინი ერთი თვის განმავლობაში სრულიად დაიჭირა და დაატუსაღა. მართი იმ ტყუილი ძაირიმთაგანის ბეურქ ჩო- ტოვის ავაზაკობა იმაში მდგომარეობ- და, რომ ყალბ ფულებს ასაღებდა.

### წერილები რედაქტორთან

ბ-ნო რედაქტორო!

მგონი, მოგეხსენებათ შალავანდი- შვილების და იმათი ხუთასი კომლი ხიზნის დავა. მინ გავრია ორივეს ცო- ლოში და ვინ ჩამოაგდო მათ შუა უთანხმოება? ორმა ცხინვალელმა ცრუ-წინასწარმეტყველმა და მესამემ— ქალაქელმა, მკლავ-მოჭრილმა, რომე- ლიც პირველებისავით ცრუ-ბრძანდება. ამათ ვაცარცვეს უღმერთოდ ხუთასი კომლი ხიზანი გლეხი და ჩვენ— შა- ლავანდიშვილებს დღიური ლუკმა გა- გვიწყვიტეს; როგორც ჩვენ ორთავე მხა-ეს მოგვეცეს ზარალი, ისე, ჩვენს გარდა სხვა გლეხს და მამულის პატ- რონებს.

ამ უკანასკნელს ორ წელიწადს მომ- რიგებელ შუამავალი ჩვენსა და ჩვენი ხიზნების საქმეს მოუხდა; თუმცა ბე- რი სხვა მამულის პატრონებზე და ნაყ- მეები მოდიოდნენ საჩივლელოდ, მაგ- რამ ვერავისთან მიდიოდა, რადგანაც ბ. გ—რის ბრძანება ჰქონდა, რომ ყველანაირად უწინააღეს ჩვენს საქმეს უნ- და მორჩინილიყო. რამდენს კაცს და- უგვიანდა ამ დავის მიზეზით და ცრუ- წინასწარმეტყველების წყალობით—სა- მართალი რამდენ უძლურ ძალო- ვანმა დასწავრა, რამდენი უსამართ- ლოება მოხდა და სხვა ვინ მოსთე- ლის.

ორს წელიწადს არ გაგრძელდებო- და ჩვენი საქმე, თუ ერთს თავის მო- ვალობის უარ-ყოფელს თავისი უზ- ნებება არ გამოეჩინა, რომლის შედე- გიც ჩვენი საქმის დაგვიანება იყო. ჩვენს საქმეში ბევრი ისეთი მოხელე პირები გაერჩინენ, რომელნიც მხო- ლოდ «ბაზუსს» და «პილატეს ცრემლს» ემსახურებოდნენ და ჩვენს საქმეზედ კი ყურსაც არ იბერტყდნენ. მართა ამ მოხელე პირთაგანმა ფეხი შემოდგა თუ არა ჩვენში...

ბ-ნი გ—ის უკანასკნელად სხინ- ვალში მოსვლისას, რომელსაც თან მანარს უფროსი, მომრიგებელ შუა-

მავალი, ბოქაული და «ბაზუსის» ხსე- ნებული თაყვანის-მცემელი ჩლიქე, ყველა ვიხელოთ და ჩვენი გაქიროვება შევსჩივლეთ. ჩვენ გვემინოდა ისეც ის პირი არ დაენიშნა, მაგრამ ღმერთ- მა უწველოს ბ-ნს გ—რს სხინვალის ბოქაულის ბ-ნი ლეანოზოვის დანი- შენისათვის, რომელსაც განაჩენების სა- ჩქაროდ სისრულეში მოყვანა უბძანა.

მოვიდა ბ-ნი ლ—ზიშვილი და თან სამართალი მოიტანა: ვისზედაც ოცი კოდი იყო, ისე ჩაგვაგონა, რომ ნა- ხევარით დაეკმაყოფილდით და რო- გორც უწინ ძმასავით ვყავით, ეხლაც ისევე ძმობა, თანხმობა და მშვიდობა ჩამოაგდო ჩვენში. ბ-ნი ლე—შვილის წყალობით, რომელსაც ორივე მხა- რენი მადლობას ვუძღვნი, ჩვენც კუჭი გავიძღეთ და ჩვენი ხიზნებიც ცრუ-წინასწარმეტყველების ცარცვას გადაჩვენ.

გიორგი შალავანდიშვილი.

ბ რედაქტორო!

ბთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პა- ტივცემული გაზეთის საშუალებით ან- გარიში წარუდგინო საზოგადოებას იმ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა, რომელიც ამა აგვისტოს 18 გაიმარ- თა ქ. მზურგეთში საქველ-მოქმედო საქმისათვის. წარმოდგენილ იქმნა «ადეოკატები» თ. რ. მრისთავისა. შემოვიდა ბილეთების გამჟღევლთა- გან:

ნადეჟ. ალ. ასულის	
ჭკონიას მეუღლისაგან	43 მ. 40 კ.
ილია თაყაიშვილის და	
ალექსი მიქელაძისა-	
გან . . . . .	46— >
მაგორ ჭელიძისაგან . . . . .	1—50
ი. ნიკოლაიშვილისაგან . . . . .	1— >

სულ 91—90

დასახელები:

სცენის მოწყობაში . . . . .	10— >
მუზიკის ქირად . . . . .	6— >
პარიკმახერს . . . . .	2— >
მუშებს . . . . .	2—15
მოთამაშეების სადილში . . . . .	4—17
შავიტონის ქირა (მოთამა-	
შეები ერთს გარდა ყვე-	
ლა სოფლიდგად მო-	
სულნი იყვნენ) . . . . .	6— >
წერილანი ხარჯი . . . . .	1—30
სხენის ქირა . . . . .	1—50

სულ 33—12

ხარჯს გარედ-დარჩა 58 მ. 78 კ., რომელთაგან, სცენის მოწყობე- თა გადაწყვეტილებით, ათი (10) მანათი მიეცა მოსწავლეს ალექსი ლო- ლიდეს ბორის საოსტატო სემინარი- აში წასასვლელ ხარჯად, ხუთი (5) მა- ნათი მოსწავლის მიხეილ ჭკონიას სასარგებლოდ გადაიღვა, ხოლო ორ- მოც-და-სამი (43) მანათი და 78 კა- პეიკი ბახვის სკოლას დარჩა.

ამასთანავე სასიამოვნო ვალად ესთვლი, მადლობა განუუცხადო რო- გორც მზურგეთის პატივ-ცემულს სა-

ზოგადობას, რომელმაც ამ წარმოდგენაზე დასწრებით დაგვიმოქმედა, რომ ის არ ზოგავს საქველმოქმედო საქმისადმი თანაგრძობას, აგრეთვე შემდეგ პირთა: ნატ. პლატ. ასულს ძიქოძისას, მსმა ძიქოძისას, ნად პლ. ჰუნიასას, ბ.ბ. ილია მათევილს და ალექსი მიქელაძეს, რომელთაც გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში. დიდად ემაღლობთ აგრეთვე ბ. ნ. ლ. ჩიგოგიძეს სახლის უფასოდ დათმობისათვის და აგრეთვე ყველა აქტიურებს.

ბასკის სკოლის მასწავლებელი გ. შარშიძე  
გვიტყვას 29.  
სოფ. ბასკი.

### იუცხოეთი

◆◆ ინგლისის საგანგებო ელჩი სერ ლრუმონდ მოლფი ჯერ კიდევ სტამბოლშია. ხონთქარი ერთობ აქიანურებს მასთან საქმის გათავებას და ამის მიზეზი ის არის, რომ დიდებულს პორტას არ უნდა მიიღოს ასეთი თუ ისეთი წინადადება სალისბიურის სამინისტროსა, რომელსაც მკვიდრი საძირკველი არა აქვს გადგმულია—ჰუიქობენ მსმალეთში. როგორც აღრე, ისე დღესაც ამბობენ, რომ ლრუმონდ მოლფი უნდა ეცადოს მსმალეთის გადაბრუნებას ინგლისისაკენ რუსეთის საწინააღმდეგოდ. მღონდეს მოხერხდეს და ინგლისი მგვიბტეთი ამეღებს ხონთქარსა, მაგრამ ეს სულ ცარიელი მიზეზებია. ინგლისია ფაქტიურად პატრონი მგვიბტესი და ეს მსმალეთმაც კარგად უწყის, თუმცა ახლანდელი კონსერვატიული სამინისტრო ხშირად ლაპარაკობს მსმალეთის უფლებათა შესახებ მგვიბტეზე. მსმალეთმა კარგად უწყის, რომ ინგლისი ავლანის თუნდ სულ დიდს ნაწილსაც დასთმობს მგვიბტეს გულისათვის; ეს ქვეყანა ძვირად უღირს ინგლისს და უბრალოდ ეცდება ინგლისელი დიპლომატი წინააღმდეგი აზრი დაუმტკიცოს პორტას. მართის სიტყვით ინგლის-მსმალეთის კავშირი ჯერ კიდევ საეჭვოა, სათუა, მაგრამ ინგლისისა და იტალიის შორის კავშირი-კი დღეს, — როგორც გაზეთები იწერებინ, — ექვს გარეშეა. იტალიის ნავთ-საყურებში გაცხარებული მზადება; შეიარაღებული გემები მზად არიან ზღვაში გასასვლელად. საითკენ გაემართებიან ეს გემები დაბეჯითებით ვერას ამბობენ ჯერ, მხოლოდ იმას კი იწერებინ, რომ ამათი გზა მეწამულის ზღვისაკენ არისო მს ჯარი იტალიელებისა უნდა მიეშველოს აბესინელებს, ამათ ორთავემ ერთად უნდა იმოქმედონ სულანში და ინგლისელების ჯარი განათავისუფლონ აქედამაო. იტალიასთან კავშირის შეკერას სულანის საქმეებისათვის მლადსტონი შეუღდა იმ თავითვე და მისი წყალობა იქმნება, თუ დღეს იტა-

ლიელებმა და აბესინელებმა შეერთებულის ძალით მშვიდობიანობა დაამყარეს მუდამ მოუსვენარს სულანში.

◆◆ მთქცა საფრანგეთი ხმას არ იღებს ბერმანიის და მსპანიის შორის ჩამოვარდნილს განხეთქილებზე და ყველა ფრანკოფონი გაზეთებიც საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ სასტიკი ნეიტრალიტეტი დაევიროთ, ნუ გავრცევით ბერმანიისა და მსპანიის საქმეებში, მაგრამ «რკინის გრაფი», თ-ღი ბისმარკი მაინც ძალიან შეუფიქრებია, ეტყობა, მსპანიაში მიმდინარე არეულობას ბერმანიისაგან პაროლინის კუნძულებზე დავის გამოცხადების გამო. ბერმანიის კანცლერი შიმოლსო მაშედ, რომ ესპანიაში მართლა რევოლუცია არ მოხდეს, მეფე ალფონსი არ გარდაეცნონ და რესპუბლიკური მმართველობა არ გამეფდესო ამ სახელმწიფოში. მს რომ მოხდეს, მაშინ ხ.ი.მ. საფრანგეთის რესპუბლიკას გაუჩნდება მომეზობლე მსპანიის რესპუბლიკა და ესენი ორთავენი არას დროს მადლიერნი არ იქმნებიან ბერმანიისა. მს გარემოება, რომ შეაფიქრა თ-ღი ბისმარკი და ამასვე უნდა მიეწეროს ის მშვიდობიანი, თავაზიანი ცილო ბერმანიის ოფიციალური გაზეთებისა, რომლითაც ეს გაზეთები სწერენ მსპანიაში მომხდარს არეულობაზე და ბერმანიის ელჩისა და დროშის შეურაცხყოფაზე. მითქმას აქ არაფერი ამბავიაო—ისე გულ-დამშვიდებით განმარტავენ ხსენებული ოფიციალური ორგანოები მადრიდის დემონსტრაციებს.

პარიჟში მისულა ამბავი, რომ სარაგოსში (მსპანიაში) ბერმანიის ელჩი მოჰკლესო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ამბავიც გულ-დამშვიდებით გადიტანოს ბერმანიამ.

◆◆ «Русский Курьер»-ის სტამბოლელი კორესპონდენტი სწერს სხვათა შორის: «ხონთქარი ჰამიდი დიდის სიყვარულით და თავაზიანად ეყვრობა ხოლმე უცხოელებს და ამით თვის მამას აბდულ-მეჯიდს მოგაგონებთ. იგი არაფრით არ ჰკავს აღმოსავლეთის სხვა მბრძანებელთ. ღრუმონდ მოლფი ორ კვირაზე იმედობდა თვისის მისის გათავებას, მაგრამ ერთი კვირა გავიდა ისე, რომ ხონთქარმა არ ინახულა. მრი დღე ჰუიქობდენ მასზედ, თუ ვინ ამოეჩიათ დღევანტებად, რომელთაც თათბირი უნდა ჰქონოდათ ღრუმონდ მოლფთან ეკვიბტეს საქმეების შესახებ. მრთ დღევანტებად ჰასან-ფემი-ფაშას \*) ასახელებდენ. ჰასან-ფემი ამ რამდენიმე წლის წინად დიდის მისიით გაემგზავრა ინგლისში; მგვიბტეს საქმე დაწვრილებით შესწავლული აქვს მას და ამ საქმის თაობაზედ უნდა მოელაპარაკნა ინგლისის მმართველობასთან. ამ დროს გავრცელდება ხმა იუსტიციის მინისტრის — ჰასან-ფემი ფაშის სამსახურიდამ გამოხვლისა; ეს იმას ნიშ-

\*) ჰასან-ფაშა, როგორც ამბობენ, ქარაგელთაგანიო.

ნავს, რომ ფაშას არ ნიშნენ ერთ დღეგატავანად, რომელთაც უნდა ითათბირონ ღრუმონდ მოლფთან. ჰასან-ფემი შეურაცხებდა მიიღებს ამას და გამოვა სამსახურიდამ. ჰასან-ფემი პოლიტიკური მოწინააღმდეგეა დიდის ვიზირისა. ამის მისია რომ კეთილად დამთავრებულიყო ლონდონში, იგი დიდის ვიზირის მემკვიდრე შეიქმნებოდა.

ამ ჟამად დიდი ვიზირი იყო მოწინააღმდეგე, რომ ჰასანისათვის მიენდოთ ინგლისის საგანგებო ელჩთან მოლაპარაკება. ჰასანს აღვიდად შეუძლიან ისეთს საქმეზე დაითანხმოს ხონთქარი, რაც სასურველი არ არის პირველის ვიზირისათვის. დასძინეთ ამას ისიც, რომ ლონდონიდან დაბრუნებულს ჰასან-ფემის უკმაყოფილოდ დახვდა ხონთქარი. მაგრამ დღემდის ჰასანი მართავდა კიდევ იუსტიციის სამინისტროს; იგი ყოველთვის მიანდოთ და დღესაც მიანდოთ მსმალეთში ინგლისის მომხრედ. პირველს ვიზირს—საიდ ფაშას-კი სწადოდა ისეთი წარმომადგენლები ამოეჩიოა დრუმონდ მოლფთან მოლაპარაკებისათვის, რომელნიც სრულიად მის (საიდ ფაშის) გავლენის ქვეშე ყოფილიყვნენ. და ასეთი პირებიც მოხდებნეს კიდევ—გარეშე საქმეთა მინისტრი ასიმ-ფაშა და ლეთის მოყვარე დაწესებულებათა მინისტრი შიამილ-ფაშა.

ღღეს გავრცელდა აქ ხმა მაკედონიის გუბერნატორის ჰაქი-ფაშის გადაყენებაზე. როცა ჰაქი-ფაშა დანიშნეს ამ ადგილზე ყველანი იმედობდენ აქ, რომ ეს ახალი გუბერნატორი, როგორც მრისხანე კაცი, ახალ-გაზდა და თან ფანატკოსი ყოვლის-ღონით ეცდებოდა მოეწურა ბოლგარიელები. ჰაქი-ფაშას სულ მოკლეს ხანში კარგა დიდი უკმაყოფილება მოუხდა რუსის ელჩთან; სიანს, იფიქრეს, რომ იმის მაკედონიაში დატოვება აღარ მოხერხდებოდა და დღეს ნაცვლად იმისა მაკედონიის გუბერნატორობა გადასცეს ჰასან-ფაშას, მანის (სომხეთში) გუბერნატორს. ჰასან-ფაშა ჯერ ახალ-გაზრდა და ენერგიით საესე კაცია. მანის გუბერნიას დიდი ხანია, რაც მართავს. მსმალეთის მმართველობამ დანიშნა იგი აქ, რომ ხელი შეეშალა რუსეთის განზრახვათათვის, რომელსაც სწადინაო—ამბობდენ მსმალეთში—სრულიად დაიპყრას მსმალის სომხეთიო. ჰასან-ფაშა ენერგიულად იცავდა მსმალეთის ინტერესებს და ამ თანამდებობაში მყოფობის დროს კარგად შეიგნო, თუ როგორ უნდა მოექცეს ხოლმე რუსებს... აქვე არ შემოძლიან მაგალითად არ მოვიყვანო ერთი ანეკდოტი, რომელიც მას შეემთხვა მანის რუსის ელჩი ძამსარაკანთან. როცა ხსენებული ძამსარაკანი ჩავდა მანს, პირველი ვიზატი ჰასან-ფაშას გაუკეთა. აღმოსავლეთის ჩვეულების დავარად მსახურმა შემოიტანა ორი სტაქანი ყავა, ჯერ ჰასანს მიართვა, შემდეგ-კი რუსის ელჩს. რამდენიმე დღის შემდეგ ჰასან-ფაშამ გადაუხდა ვიზიტი რუსის ელჩს. ძამ-

სარაკანმა დაარიგა მსახური—შემოიტანოს ორი სტაქანი ყავა და ჯერ მანს მიართვას და შემდეგ რუსის ელჩს ბერნატორს. როცა მსახურმა შემოიტანა ყავა და მიართვა ჯერ თვის ბატონს, ამ ბატონმა, ძამსარაკანმა შეუბღვირა მას და უჩვენა, რომ ჯერ სტუმარს მიართვიო და შემდეგ მხოლოდ მასპინძელსაო. ჰასან-ფაშა მიხვდა ამ გაცვეთილს და მასუკან სცნო, თუ როგორ მოექცეს უცხო ქვეყნის წარმომადგენელთ (?!)...

### სხვა და სხვა ამბავი.

ტუტუტების ჩაჩი. ინგლისელების სამსახურო დაწესებულებაში მიწერ-მოწერისათვის სმარბუნ ბლანკესს, რომლებზედაც ერთს კუთსეში გვირგვინის მაგიერად, გამოსტულია ესრედ წოდებული—ტუტუტების ჩაჩი. ამ ნიშნის აქვს თვისი მნიშვნელობა: კარლოს პირველის თვისი მოკვეთის შემდეგ, კრომველმა, რომელსაც ესურდა მოესპო ყოველი, რაც მოაგონებდა მას კაროლს, გაგლეხას, რომ დაემტკიცებინა თვისი სიზღი მისდამი, მოახდინა განკარგულება, რომ ოფიციალურ ქალაქებზე გვირგვინის მაგიერად ყოფილიყო გამოსასული ჩაჩი. კარლოს მეორის ტანტყე შესვლის შემდეგ, პირველად დაავიწყდათ ამ განკარგულების შეცვლა, შემდეგ დაიწყო უწინდელი შეცდომას გასწორება და ოფიციალურს ქალაქებზე ისევ ტუტუტური ჩაჩი დაწესა.

მამულის სიყვარული. თუ რამდენად ძლიერია სსოხის შევიცანისში სსახლხო გმირის ვილქემ ტელისა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება. ერთი მასალ-გაზდა რუსმა გვარად გესლეშმა, რომელიც არავითარს ყურადღებას არ აქცევდა თვის შესანიშნავს გვარს, რომლის მექანე საზიზღარი მტარვლი ვილქემ ტელასგან, მოიფიქრა ერთს შევიცანის ტბაზე ნავათ გასეირნება—რამდენიმე ამს-ნავებითურთ. სეი-რნობის დროს, ერთმა ნაწნობთაგანმა დაუძახა მას გვარი. გააგონა თუ არა მესვემ გასეირის გვარს, ფიცხლად მიაყენა ნავა ტბის ნაპირს—და სთხვავა. გესლეშს ნავიდან გადასვლა. ვერავითარმა თსოგანამ ვერ გასჭრა: მესვემ უარსე იდგა, რომ გესლეშის გვარის მექანე ეტარებინა თვის ნავით...

### ტელეგრაფი

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“  
სექტემბრის 5-ს.

მადრიდი. გასეთების ახრით კოლონიის გუნძულების საქმე შეიმდებოდა იმ რიგად გადაწყვეტილიყო, რომ გერმანიას თავისუფლად ეგაჭრას ამ გუნძულებზე და უზღვესა მფარველობის უფლება კი სსენებულს გუნძულებზე ესპანიას ჰქონოდა ხელი.

